



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2013 წლის 18 ოქტომბერი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 2122 (2013)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 7044-ე სხდომაზე
2013 წლის 18 ოქტომბერს

უშიშროების საბჭო,

კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, რომ ურთიერთთანამშრომლობის პირობებში გააგრძელებს და სრულად განახორციელებს რეზოლუციებს 1325 (2000), 1820 (2008), 1882 (2009), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013) და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის ყველა შესაბამის განცხადებას,

ითვალისწინებს პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით გაცხადებულ მზაობას და ადასტურებს მხარე სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც მათ აიღეს ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის და შესაბამისი ოქმის მიხედვით, მოუწოდებს სახელმწიფოებს, მოახდინონ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება ან მიერთება,

ითვალისწინებს გაეროს ქარტიის მიზნებსა და პრინციპებს, უშიშროების საბჭოს მიერ აღნიშნული ქარტიის მიხედვით აღებულ ვალდებულებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, და აღნიშნავს, რომ ამ რეზოლუციის მთავარი ამოცანა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაა,

ადასტურებს, რომ ქალთა და გოგოების გაძლიერება და გენდერული თანასწორობა კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალისხმევისთვის; ხაზს უსვამს, რომ რეზოლუცია 1325 (2000) –ის სრული განხორციელების წინააღმდეგ არსებული დაბრკოლებების შეიძლება დაიძლიოს მხოლოდ ქალთა გაძლიერების, თანამონაწილეობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის გზით,

ავასებს და ითვალისწინებს გენერალური მდივნის 2013 წლის 4 სექტემბრის ანგარიშს, პროგრესსა და კარგი პრაქტიკის წარმოჩენას რამდენიმე სფეროში, მათ შორის, პრევენციისა და დაცვაში, შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგში, პრევენციასა თუ სისხლის სამართლებრივი დევნის დროს, მაგრამ *ღრმად შემფოთებული* რჩება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების განხორციელების სფეროში არსებული ხარვეზების გამო, მათ შორის: ადამიანის უფლებების დარღვევებზე, შ ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა დაბალ წარმომადგენლობაზე და ამ ძალისხმევისკენ მიმართული რესურსების სიმწირეზე. ასევე, იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობს რეზოლუცია 1325–ისა და თანმდევი რეზოლუციების განხორციელებაში ქალთა მონაწილეობისა და დაცულობის გაუმჯობესების კუთხით,

შემფოთებას *გამოთქვამს* შეიარაღებულ კონფლიქტსა და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ქალთა დაუცველობის გაზრდასთან, განსაკუთრებით კი იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით; ასევე, არათანაბარი სამოქალაქო უფლებების, თავშესაფრის კანონების გენდერულად მიკერძოებული გამოყენების, ქალებისთვის რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე წვდომაში არსებული იმ დაბრკოლებების გამო, რომლებსაც ხშირ შემთხვევებში აქვთ ადგილი,

გამოთქვამს ღრმა შემფოთებას შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციის დროს ქალთა მიერ განცდილი საფრთხეებისა და ადამიანის უფლებების დარღვევების სრული სპექტრის მისამართით; *ითვალისწინებს*, რომ ის ქალები და გოგოები, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველნი არიან, შეიძლება კონკრეტული სამიზნეები გახდნენ, ან გაიზარდოს მათ წინააღმდეგ ძალადობის განხორციელების რისკი, *აღიარებს*, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მეტი მოქმედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის გარდამავალი მართლმსაჯულების ზომები, რომლებიც მიმართული იქნება ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ადამიანის უფლებების მთელ რიგ დარღვევებზე, იმ დიფერენცირებულ ზემოქმედებაზე, რომელსაც ეს დარღვევები ქალებსა და გოგოებზე ახდენს, , ასევე იძულებით გადაადგილების, პიროვნებების იძულებით დაკარგვისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურების საკითხებზე,

აღიარებს აუცილებლობას, რომ გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა და იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარებისა და დაფინანსების უზრუნველყოფას ცდილობენ, სრულად უნდა მოიცვან იმ სამედიცინო, იურიდიული, ფსიქოლოგიური და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მომსახურებების სპექტრი, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტითა და პოსტკონფლიქტური სიტუაციებით დაზარალებული ქალები საჭიროებენ და *აღნიშნავს* სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების სრულ სპექტრზე წვდომის საჭიროებას, მათ შორის ორსულობას გაუპატიურების შედეგად,

კვლავაც მტკიცედ გმობს საერთაშორისო სამართლის ყველა იმ დარღვევას, რომელიც ჩადენილია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და / ან პირდაპირ

გავლენასახდენს მასზე, მათ შორის ქალებსა და გოგოებზე შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს, დარღვევებს შორის იგულისხმება გაუპატიურება და სექსუალური თუ გენდერული ძალადობის სხვა ფორმები: მოკვლა და დასახიჩრება, წინაღობები ჰუმანიტარულ დახმარებაზე და მასობრივი იძულებითი გადაადგილება,

აღიარებს, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ პირველადი პასუხისმგებლობა, პატივი სცენ და უზრუნველყონ ადამიანის უფლებები ყველა ადამიანისთვის მათ ტერიტორიაზე და მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, როგორც ეს საერთაშორისო სამართლითაა გათვალისწინებული.; *კვლავ ადასტურებს*, რომ პირველადი პასუხისმგებლობა მოქალაქეების დაცვის უზრუნველყოფაზე შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ეკისრებათ,

ადასტურებს, რომ მდგრადი მშვიდობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ეფუძნება შეთანხმებულ საქმიანობას პოლიტიკურ, უსაფრთხოების, განვითარების, ადამიანის უფლებების, მათ შორის გენდერული თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის სფეროებში და ამ მხრივ *ბაზს უსვამს* კანონის უზენაესობის მნიშვნელობას, როგორც კონფლიქტის პრევენციის, მშვიდობის დაცვის, კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს,

აღიარებს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში სისტემატური ყურადღების აუცილებლობას, რომელიც მიმართული იქნება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ვალდებულებების განხორციელებაზე, რათა განსაკუთრებით იყოს უზრუნველყოფილი ქალთა ჩართულობის ზრდა კონფლიქტების პრევენციის, გადაწყვეტისა და მშვიდობის შენების პროცესებში; ასევე, *აღნიშნავს*, რომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში საჭიროა დროული და სისტემატური ანგარიშგება,

ცნობს კონფლიქტის პრევენციის, გადაწყვეტისა და მშვიდობის შენების საქმეში სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, წვლილის კრიტიკულ მნიშვნელობას, მდგრადი კონსულტაციებისა და დიალოგის როლს ქალებსა და გადაწყვეტილების ეროვნულ თუ საერთაშორისო მიმდებებს შორის,

აღიარებს, რომ საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები არსებული ხარვეზების მიმართულებით და გაძლიერდეს კავშირები გაეროს მშვიდობისა და უსაფრთხოების სავსე სამუშაოებსა და ადამიანის უფლებებისა თუ განვითარების სამუშაოებს შორის, რათა მოგვარდეს შეიარაღებული კონფლიქტის ძირეული მიზეზები და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების მიზნით, აღმოიფხვრას ქალებისა და გოგოების უსაფრთხოების კუთხით არსებული საფრთხეები,

აღიარებს, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებების შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ სტაბილიზაციას და მიესალმება სამშვიდობო კომისიის 2013 წლის 26 სექტემბრის განცხადებას

მშვიდობის შენების მიზნით ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ (PBC/7/OC/L.1),

აღიარებს, იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულების დადებას და აღნიშნავს ხელშეკრულების მე-7 (4) მუხლის დებულებებს, რომლებიც ექსპორტის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, მხედველობაში მიიღონ ის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ იარაღთან, ან იმ ნივთებთან, რომლებიც გენდერული ძალადობის, ან ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის სერიოზული აქტების დროს გამოიყენება,

მოელის იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომლის შეტანაც შეუძლია იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულებას შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შემცირებაში,

ესალმება წევრი სახელმწიფოების ძალისხმევას და აღიარებს რეგიონული და ქვერეგიონული ორგანიზაციების ძალისხმევას 1325 (2000) რეზოლუციის განხორციელებისთვის და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის სამოქმედო გეგმების განვითარებასა და განხორციელებას. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, კვლავაც განაგრძონ ძალისხმევა რეზოლუციის განხორციელებისთვის, რაც გაძლიერებულ მონიტორინგს, შეფასებასა და კოორდინაციას გულისხმობს,

1. *აღიარებს*, რომ საჭიროა 1325 (2000) რეზოლუციის თანმიმდევრული განხორციელება და აპირებს, ყურადღების ფოკუსირებას ქალთა ლიდერობასა და მონაწილეობაზე კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის შენებაში, რაშიც იგულისხმება განხორციელების მსვლელობის მონიტორინგიც; აღიარებს იმ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალებსა და გოგოებზე შეიარაღებული კონფლიქტის გავლენის, მშვიდობის შენების პროცესში ქალის როლისა და სამშვიდობო პროცესის თუ კონფლიქტის მოგვარების გენდერული განზომილებების შესახებ ინფორმაციისა და მისი ანალიზის ნაკლებობასა და ხარისხთან;

2. *აღიარებს* დროული ინფორმაციისა და მისი ანალიზის საჭიროებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: შეიარაღებული კონფლიქტის გავლენა ქალებსა და გოგოებზე ახდენს, ქალის როლი მშვიდობის მშენებლობაში, სამშვიდობო პროცესებისა და კონფლიქტების მოგვარების გენდერული განზომილებები და შესაბამისად;

(ა) *მიესალმება* გენერალური მდივნის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი, გაეროს ქალთა საკითხებში აღმასრულებელი დირექტორისა და გენერალური მდივნის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი / სპეციალური წარმომადგენლის მეტი ინტენსივობით გამართულ ბრიფინგებს კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის, ასევე ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე;

(ბ) *მოითხოვს* მშვიდობის დაცვის ოპერაციების დეპარტამენტისგან (DPKO), პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტისგან (DPA) და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან, რეგულარულ ბრიფინგებზე მოახსენონ უსაფრთხოების საბჭოს ქალებთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რელევანტური მოვლენების შესახებ, მათი განხორციელების ჩათვლით;

(გ) *სთხოვს* გენერალურ მდივანსა და მის სპეციალურ რწმუნებულებსა თუ სპეციალურ წარმომადგენლებს გაეროს მისიებში, რომ უშიშროების საბჭოსთვის წარდგენილ რეგულარულ ანგარიშებში ყურადღება გაამახვილონ ქალთა მონაწილეობაზე, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებზე მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით;

(დ) *მოითხოვს* მშვიდობის დაცვის ოპერაციების დეპარტამენტისა (DPKO) და პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტისგან (DPA) საბჭოსთვის წარსადგენი ანგარიშები სისტემატურად მოიცავდეს ინფორმაციასა და რეკომენდაციებს იმ საკითხებზე, რომლებიც რელევანტურია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროსთან;

(ე) *მოუწოდებს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილ საგამომძიებლო კომისიებს, ანგარიშებში ასახონ ინფორმაცია იმ დიფერენცირებული ზემოქმედების შესახებ, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტი ქალებსა და გოგოებზე ახდენს, განსაკუთრებით კი ხაზი გაუსვან რეკომენდაციებს ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების, სამართლიანობისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხით, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის, ისე პოსტკონფლიქტური და გარდამავალი პერიოდის კონტექსტში;

3. *გამოხატავს განზრახვას*, რომ თავის დღის წესრიგში ყურადღება გაამახვილოს ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებზე ყველა შესაბამის სფეროში. ამ სფეროებს შორისაა: შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური მშვიდობის დაცვის პერიოდში მოქალაქეების დაცვა, კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და გაძლიერება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესში, მშვიდობა და უსაფრთხოება აფრიკაში, ტერორისტული აქტების მიერ შექმნილი საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიები;

4. *ადასტურებს განზრახვას*, გაეროს მისიების და მათი მანდატების შექმნისა თუ განახლებისას ჩართოს გენდერული თანასწორობის, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი დებულებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, გენდერის მრჩევლების დანიშვნით და *გამოხატავს* თავის განზრახვას ჩართოს დებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მონაწილეობასა და დაცვას: არჩევნების მომზადებასა და სხვა პოლიტიკურ პროცესებში, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებში, უსაფრთხოების სექტორსა და სასამართლო რეფორმებში, იმ ფართო პოსტკონფლიქტური აღმშენებლობის პროცესებში, რომლებიც მისიის მანდატით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებშია;

5. *სთხოვს* გაეროს სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელობას, შეაფასონ ადამიანის უფლებების დარღვევისა და ქალების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს; *სთხოვს* სამშვიდობო მისიებს, იმოქმედონ მათი მანდატის შესაბამისად, რათა იმუშაონ იმ საფრთხეთა და გამოწვევათა კუთხით, რომლებიც ქალების და გოგოების წინაშე შეიარაღებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტურ გარემოში დგას;

6. *აღიარებს* სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების, გაეროს საბჭოს წევრებთან ურთიერთობის მნიშვნელობას უშუალოდ შტაბ-ბინას ან/და საველე მისიებში და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ მისი პერიოდული საველე ვიზიტები კონფლიქტურ ზონებში მოიცავდეს ინტერაქტიულ შეხვედრებს ადგილობრივ ქალებთან და ქალთა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც იგივე ტერიტორიაზე მუშაობენ;

7. *აღიარებს* ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და გენდერული საკითხების გათვალისწინების საჭიროებას იმ ყველა დისკუსიაში, რომელიც ეხება შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებას, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, პოსტ-კონფლიქტურ სამშვიდობო პროცესებს და ამ მიმართულებით, საბჭო:

(ა) *მოითხოვს* გენერალური მდივნის სპეციალური რწმუნებულებისა და გაეროს მისიებში სპეციალური წარმომადგენლებისგან, დისლოკაციის ადრეული სტადიიდან დაიწყონ რეგულარული კონსულტაციები ქალთა ორგანიზაციებთან და ქალ ლიდერებთან, მათ შორის, სოციალურად ან / და ეკონომიკურად მოწყვლად ქალთა ჯგუფებთან;

(ბ) *მოუწოდებს* შესაბამის წევრ სახელმწიფოებს, განავითარონ მიზნობრივი დაფინანსების მექანიზმები იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად და მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რომლებიც მუშაობენ ქალთა ლიდერობის განვითარების და სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდასაჭერად გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე რეზოლუცია 1325 (2000) ის განსახორციელებლად, რაც მოიცავს დაფინანსების გაზრდას ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისათვის;

(გ) *სთხოვს* გენერალურ მდივანს, გააძლიეროს სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგაციებისა და მედიაციის გუნდის წევრების ცოდნა სამშვიდობო პროცესის გენდერულ განზომილებებზე, გენდერული ექსპერტიზისა და გენდერის ექსპერტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით გაეროს ყველა მედიატორი გუნდისთვის; *ასევე ითხოვს* გენერალური მდივნისგან, მხარი დაუჭიროს ქალების დანიშვნას ხელმძღვანელ დონეებზე, გაერთიანებული ერების მედიატორებად და გაეროს მედიატორი გუნდების უშუალო შემადგენლობაში; და *მოუწოდებს* ამგვარი სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა მხარეს, ხელი შეუწყონ ქალთა თანასწორ და სრულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;

8. ასევე, *ხაზგასმით აღნიშნავს* იმ წევრი სახელმწიფოების ძალისხმევას გაგრძელების მნიშვნელობას, რომლებიც ატარებენ პოსტ-კონფლიქტურ საარჩევნო პროცესებსა და საკონსტიტუციო რეფორმას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალთა სრული და თანასწორი მონაწილეობა საარჩევნო პროცესების ყველა ფაზაში და *აღნიშნავს*, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა უსაფრთხოებას უშუალოდ არჩევნებამდე და არჩევნების დროს;

9. *მოუწოდებს* ქვეყნებს, რომლებსაც გაეროს ოპერაციებში წვლილი ჯარებით და პოლიციით შეაქვთ, გაზარდონ ქალების პროცენტული რაოდენობა გაეროს სამშვიდობო ოპერაციაში დისლოცირებულ სამხედრო დანაყოფებსა და პოლიციაში და ასევე *მოუწოდებს* ჯარებითა და პოლიციით მონაწილე ქვეყნებს, რომ სამხედრო და პოლიციის მთლიან პერსონალს ჰქონდეს საჭირო მომზადება თავიანთი მოვალეობების განსახორციელებლად და მოითხოვს გაეროს შესაბამისი ორგანიზაციებისგან, პერსონალს მიაწოდონ შესაბამისი სახელმძღვანელო ან სასწავლო მოდული, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისლოცირებამდე ეტაპისთვის განკუთვნილი, სცენარზე დაფუძნებული ტრენინგი სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენციის შესახებ;

10. *ხაზს უსვამს* უწყვეტი ძალისხმევის საჭიროებას იმ დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებასთან ურთიერთობისას კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, მათ შორის გენდერულად მგრძობიარესამართლებრივი, , სასამართლო და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის და სხვა მექანიზმების მეშვეობით;

11. *მოუწოდებს* ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებს და ფინანსურ ინსტიტუტებს, ხელი შეუწყონ და გააძლიერონ ეროვნული ინსტიტუტების შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი, სასამართლო და ჯანდაცვის სისტემები და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ქსელები, რათა მდგრადი დახმარება გაუწიონ შეიარაღებული კონფლიქტით და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებს;

12. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, შეასრულონ მათი ვალდებულებები, დაასრულონ დაუსჯელობა და საფუძვლიანად გამოიძიონ და განახორციელონ სამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, ვინც პასუხისმგებელია ომის დანაშაულებზე, გენოციდსა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულებზე, ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზულ დარღვევაზე და *აღნიშნავს*, რომ ქალთა და გოგოების წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე მძიმე დანაშაულების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლით საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესების დონე ადრინდელთან შედარებით გაიზარდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, სპეციალური ან შერეული ტრიბუნალების და ეროვნული ტრიბუნალის სპეციალიზებული პალატების მუშაობის შედეგად;

13. ამ მიმართულებით *შეახსენებს ყველას* საერთაშორისო სამართლის შესაბამის დებულებებს ინდივიდუალური უფლებების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე;

14. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებსა და გაეროს პირებს, უზრუნველყონ ქალთა სრული და მნიშვნელოვანი მონაწილეობა მცირე და მსუბუქი შეიარაღების უკანონო გადაზიდვის და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ძალისხმევაში, მისი აღმოფხვრის მიზნით;

15. *ადასტურებს* თავის განზრახვას, 2015 წელს ჩაატაროს მაღალი დონის მიმოხილვა, რათა შეფასდეს რეზოლუცია 1325 (2000)–ის განხორციელების პროგრესი გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე, განახლდეს ვალდებულებები და გადაილახოს დაბრკოლებები და შეზღუდვები, რომლებიც განხორციელების პროცესში გამოიკვეთა; *აღნიშნავს*, რომ მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე, პროგნოზირებად მომავალში ქალები და ქალთა პერსპექტივები არასაკმარისად იქნება წარმოდგენილი კონფლიქტის პრევენციის, მოგვარების, დაცვის და მშვიდობის პროცესებში და *მოუწოდებს* იმ წევრ სახელმწიფოებს, შესაბამის რეგიონურ ორგანიზაციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოებს, რომელთაც შეიმუშავეს რეზოლუცია 1325 (2000)–ის განხორციელების დღის წესრიგი და გეგმა, დაიწყონ არსებული განხორციელების გეგმებისა და მიზნების განხილვა, ხოლო წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყონ მდგომარეობის შეფასება და დააჩქარონ პროგრესი, რათა დროულად მოახდინონ ახალი მიზნების ფორმულირება 2015 წლის მაღალი დონის მიმოხილვისთვის;

16. *სთავაზობს* გენერალურ მდივანს, მონაწილეობა მიიღოს მაღალი დონის მიმოხილვის მომზადებაში, რათა გაიცეს დავალება რეზოლუცია 1325 (2000)–ის განხორციელების გლობალური კვლევის ჩატარებაზე, სადაც ხაზგასმული იქნება კარგი პრაქტიკის მაგალითები, განხორციელების ხარვეზები და გამოწვევები, ახალი ტენდენციები დასაქმიანობის პრიორიტეტები. ასევე, *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, 2015 წელს უშიშროების საბჭოსადმი ყოველწლიურ მოხსენებაში წარადგინოს ამ კვლევის შედეგები და გახადოს იგი ხელმისაწვდომი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის;

17. *გამოხატავს* განზრახვას, უშიშროების საბჭოს მანდატი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ აქციოს მისი ერთ–ერთი სავსე პერიოდული ვიზიტის მთავარ თემად, 2015 წლის მაღალი დონის მიმოხილვამდე;

18. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს გააგრძელოს უშიშროების საბჭოს წინაშე რეზოლუცია 1325 (2000)–ის განხორციელების პროგრესის შესახებ წლიური ანგარიშების წარდგენა და წარადგინოს მისი მომავალი მოხსენება 2014 წლის ოქტომბერში; ამ მოხსენებაში გააერთიანოს ინფორმაცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ყველა სფეროში მიმდინარე პროგრესის, ხარვეზისა და გამოწვევის შესახებ;

19. *იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.*